ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა

# საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
# (Major)

# ქართული ენა და ლიტერატურა
# (Georgian language and literature)

მიმართულება/სპეციალობა: ქართული ენა და ლიტერატურა

**პროგრამის ხელმძღვანელები:**

**მაყვალა მიქელაძე**, ასოცირებული პროფესორი ქართული ენის მიმართულებით, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

**ნინო სოზაშვილი**, ასოცირებული პროფესორი ქართული ლიტერატურის მიმართულებით, ფილოლოგიის დოქტორი.

1. რეკომენდებულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ
ოქმი №15, 30 მაისი 2011
სამსახურის უფროსი: (პროფ. ლ.მჭედლიშვილი)

2. მიღებულია სკოლის საბჭოს მიერ
ოქმი №6, 7 ივნისი 2011
დეკანი: (ასოც. პროფ. მ. ცირიკიძე)

4. დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ
ოქმი №16, 14 ივნისი, 2011
უნივერსიტეტის რექტორი: (თ.ჯავახიშვილი)

პროგრამაში შესულია ცვლილებები და დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე 2012 წლის 16 მაისს. ოქმი №13.

თელავი
2011

**სკოლა**: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
**დეპარტამენტი**: ქართული ფილოლოგიის

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:
**ქართული ენა და ლიტერატურა** (Georgian Language and Literatute)

**პროგრამის ხელმძღვანელები:**

**მაყვალა მიქელაძე,**ასოცირებული პროფესორი ქართული ენის მიმართულებით, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. (იხილე CV უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე)

საკონტაქტო ინფორმაცია: 27-16-60

**ნინო სოზაშვილი,** ასოცირებული პროფესორი ქართული ლიტერატურის მიმართულებით, ფილოლოგიის დოქტორი.(იხილე CV უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე)

საკონტაქტო ინფორმაცია: e-mail : ninosozashvili@gmil.com tel. 599 985303

**აკადემიური განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი (I საფეხური)

**პროგრამის ტიპი:** ძირითადი (major)

**სწავლების ენა:** ქართული

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ფილოლოგიის ბაკალავრი

**პროგრამის მოცულობა:** პროგრამა კომბინირებულია. პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 თხუთმეტკვირიანი სემესტრი) 240 ECTS კრედიტი. მათ შორის 120 კრედიტი გათვალისწინებულია ძირითად (major) სპეციალობაზე, რომელშიც 10 კრედიტი გათვალისწინებულია საბაკალავრო ნაშრომის შესასრულებაზე, 50 კრედიტი - საუნივერსიტეტო-სავალდებულო კურსებზე მათ შორის 10 ECTS კრედიტი განსაზღვრულია ე.წ. თავისუფალი კრედიტებისთვის (სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, რომ თავისი პროფესიული თუ პიროვნული განვითარების მიზნით, მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი (მათ შორის უცხო ენა). (იხ. სასწავლო გეგმა), 60 კრედიტი - დამატებით (minor) სპეციალობაზე ან არჩევით კურსებზე (ანუ თავისუფალი კრედიტები), დამატებითი პროგრამის არჩევა შესაძლებელია როგორც ძირითადი სპეციალობის განმახორციელებელ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ისე სხვა ფაკულტეტებზეც. დამატებითი პროგრამის არ არჩევის შემთხვევაში სტუდენტს შესაძლებლობა აქვს 60 კრედიტი გამოიყენოს თავისი ან სხვა საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების/მოდულების შესასწავლად (ეს შეიძლება იყოს მისი ძირითადი ან დამატებითი სპეციალობის, მისივე ფაკულტეტის რომელიმე სხვა სპეციალობის, სხვა ფაკულტეტის ამა თუ იმ სპეციალობის საგანი/მოდული. საგნის ასარჩევად დაბრკოლება შეიძლება გახდეს ამ საგნის შესწავლის წინაპირობა ან ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე მსმენელთა რაოდენობის შეზღუდვა, ან ამ საგანზე დარეგისტრირებულ სტუდენტთა სიმცირე).

ერთი კრედიტი უტოლდება 25 საათს, რომელიც ფარავს როგორც სააუდიტორიო, ისე დამოუკიდებელ მუშაობას. ამასთან, სააუდიტორიო მუშაობა

შეადგენს დატვირთვის დაახლოებით მესამედს, ხოლო ორი მესამედი _ დამოუკიდებელი მუშაობის წილად მოდის. კრედიტების ყოველწლიური რაოდენობაა 60. სალექციო კურსები, როგორც წესი, 5 კრედიტიანია. ასეთი დათვლა შეესაბამება ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემას (ECTS).

ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 240 ECTS კრედიტის დაგროვება და ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენა.

**პროგრამის მიზანი**: შესაბამისობაშია თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასთან. უმაღლესი განათლების ბაზაზე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება/გადამზადება, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტირებული მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო/კვლევითი საქმიანობის განხორციელება, ევროპის ერთიან უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია უნივერსიტეტის და პროგრამის ძირითადი მიზანია.

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია, კურსადამთავრებულს მისცეს ზოგადად ჰუმანიტარულ და ფილოლოგიურ მეცნიერებებთან დაკავშირებული ინტერდისციპლინური და კომპლექსური საკითხების ცოდნა და გააცნოს მას ლიტერატურათმცოდნეობითი და ენათმეცნიერული კვლევის თავისებურებები, დანიშნულება და მნიშვნელობა ქართული ენისა და ლიტერატურის მნიშვნელოვანი ძეგლების საშუალებით; განუვითაროს ლიტერატურული ნაწარმოებების ანალიზისა და კრიტიკული შეფასების, მათი ისტორიულ და კულტურულ ჭრილში განხილვის, კომენტირებისა და ინტერპრეტირების უნარი, შეასწავლოს ქართული ენის სტრუქტურა და ისტორია, მისცეს უცხო ენის ცოდნა საბაზისო დონეზე, რათა შეძლოს ლიტერატურული წყაროების ორიგინალში მოძიება და წაკითხვა; გამოუმუშაოს სტუდენტს პრაქტიკული უნარები ენათმეცნიერების და ლიტერატურათმცოდნეობის სფეროებში, ხელი შეუწყოს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებათა დამკვიდრებას კულტურული და მსოფლმხედველობრივი მრავალფეროვნების გააზრებასა და პატივისცემას.

პროგრამის მიზანია ფილოლოგიის ბაკალავრს ქართული ფილოლოგიის სპეციალობით ჰქონდეს ქართული ენისა და ლიტერატურის შესახებ კომპლექსური ცოდნა, რათა მან პედაგოგიური მიმართულებით დამატებითი კვალიფიკაციის მიღების შემთხვევაში შეძლოს დასაქმება ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად სკოლაში, ასევე შეეძლოს მუშაობა მასმედიის და საგამომცემლო სფეროში, საჯარო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებში,

კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლების საფუძველზე კი სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობის გაგრძელება.

კურსდამთავრებულის ფართო ჰუმანიტარულ–ფილოლოგიურ განათლება და სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის ჩვევები, მას არა მხოლოდ ქართული ფილოლოგიის, არამედ ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა პროფილით სწავლის გაგრძელების პერსპექტივას აძლევს.

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:**

ჩაბარებული უნდა ჰქონდეს ერთიანი ეროვნული გამოცდები. სწავლობდეს ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. სპეციალობას არ გააჩნია პრერეკვიზიტი. სპეციალობაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობაა 8, მაქსიმალური – 25. (თესაუ რექტორის ბრძანება №340) რაოდენობრივი მეტობის შემთხვევაში ჩატარდება კონკურსი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის იმ სტუდენტებს მიენიჭება უპირატესობა, რომელთაც წინა სემესტრში აკადემიური მოსწრების მაღალი ჯამური ქულა ექნებათ.

**სწავლის შედეგი:**

ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშავოს შესაბამისი უნარები და მოახდინოს მათი დემონსტრირება.

ქართული ფილოლოგიის ბაკალავრი ფლობს შემდეგ დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებს:

| | | |
|---|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | კურსის დამთავრების შემდეგ აქვს ცოდნა ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ძირითადი ეტაპები, კონცეპტები და მეთოდები, ფილოსოფიის ისტორიის, პოლიტიკისა და რელიგიის ფილოსოფიის, ეთიკის, ესთეტიკისა და ლოგიკის, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საფუძვლები; საქართველოს ისტორიის ძირითადი ეტაპები, ფაქტები და მოვლენები მსოფლიოს გეოპოლიტიკურ კონტექსტში; აკადემიური წერის ძირითადი პრინციპები; რომელიმე სხვა (არამაპროფილებელი) სპეციალობის საფუძვლები, ძირითადი თეორიები, პრინციპები და კვლევის მეთოდები (არჩევით); ძირითადი ენათმეცნიერული და ლიტერატურათმცოდნეობითი თეორიები, პრინციპები და კვლევის მეთოდები. | აქვს ცოდნა: ლიტერატურის თეორიის საფუძვლები; ენათმეცნიერების საფუძვლები; ინგლისური ენა საშუალო (B1) ან საშუალოზე მაღალ (B2) დონეზე; არჩევის შემთხვევაში რომელიმე სხვა ევროპული ენა მინიმუმ A2 დონეზე; ქართული ფილოლოგიის ძირითადი თეორიები, პრინციპები და მეთოდები; ქართული ენის განვითარების ძირითადი ეტაპები; ქართულ ენაში მიმდინარე ძირითადი ენობრივი მოვლენების დიაქრონიული და სინქრონიული აღწერა, ენობრივ ცვლილებათა ხასიათი და ქრონოლოგია. ძველი ქართული სამწერლობო კერები და მათი მთარგმნელობითი მეთოდები; თანამედროვე ქართული ენის ფონეტიკა–ფონოლოგია, თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, ქართული ენის სტრუქტურული მოდელები და მათი ტიპოლოგიური შედარება–შეპირისპირება თანამედროვე ინდო–ევროპულ ენებთან; ენის დონეების ერთმანეთისგან გამიჯვნა, მორფონოლოგიური და მორფოსინტაქსური პროცესების გარჩევა; თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი და ამ სფეროებთან დაკავშირებული თეორიები და პრაქტიკული საკითხები; ძველი ქართული ენის გრამატიკული სტრუქტურისათვის დამახასიათებელი ძირითადი ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებები; ამ სფეროსთან დაკავშირებული თეორიები და პრაქტიკული საკითხები; ქართული პალეოგრაფიის საფუძვლები და ძირითადი თეორიული საკითხები; ქართული ენის სტილისტიკისა და სალიტერატურო ქართულის ნორმალიზაციის საკითხები; ქართული ენის დიალექტოლოგიისა და ლექსიკოლოგიის საკვანძო საკითხები; ქართული ენის ლექსიკურ–ფრაზეოლოგიური თავისებურებები; სოციალურ–კულტურული, ყოფითი, პროფესიული და სხვა ფაქტორების გავლენა თანამედროვე სალიტერატურო ენასა და მის დიალექტებზე; ხალხური პოეტიკის თავისებურებები; ქართული ლიტერატურის ისტორიის ძირითადი ეტაპები, ჟანრები, მნიშვნელოვანი ავტორები და მათი ნაწარმოებების კონცეპტუალური და სტილისტური მახასიათებლები; ქართული ზეპირსიტყვიერების ზოგადი და ეროვნული სპეციფიკური |

| | | |
|---|---|---|
| | | თავისებურებები, ძირითადი ჟანრები; ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის ძირითადი საკითხები (ძველი ქართული მწერლობის ჟანრები და მიმართულებები, აგიოგრაფია, ჰიმნოგრაფია; ქართული მწერლობის მიმართება ბიბლიასთან, ძველი და ახალი აღთქმის წიგნების შინაარსი და პრობლემატიკა; საერო ლიტერატურა; ქართული ორიგინალური აგიოგრაფიის ტექსტების საისტორიო და მხატვრული ღირებულებები, ქართული ჰიმნოგრაფიის სპეციფიკა და ქართული ლიტერატურის ადგილი შუა საუკუნეების მხატვრული აზროვნების სისტემაში; ძველი ქართული საერო ლიტერტურის საკვანძო საკითხები, რუსთველოლოგიის ძირითადი პრობლემატიკა, XII-XVIII საუკუნების ქართველი მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელთა შემოქმედება; XIX საუკუნის ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ძირითადი ტენდენციები. ქართული რომანტიზმი და მისი სპეციფიკა. რეალისტური მიმართულება ქართულ მწერლობაში: XIX საუკუნის ქართული მწერლობა (მხატვრული, კრიტიკულ–პუბლიცისტური, სატირულ–იუმორისტული, ეპისტოლარული და სხვ.). XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ძირითადი საკითხები (ქართული პროზისა და პოეზიის ჟანრობრივი და ესთეტიკური თავისებურებები; 20-იანი წლების ლიტერატურული სკოლები და დაჯგუფებები, ქართული ინტელექტუალური ემიგრაცია და სხვ.; თანამედროვე ქართული ლიტერატურული პროცესების ძირითადი ტენდენციები და მათი მიმართება მსოფლიო ლიტერატურული ანალიტიკის სისტემებთან; მხატვრული სტილისა და სტილისტიკის საკითხები; ტექსტის მხატვრულ– გამომსახველობითი რესურსების მნიშვნელობა; ლიტერატურული სახისმეტყველება; ლიტერატურული ნაწარმოების ინტერდისციპლინური და ინტერტექსტუალური შესწავლის პრინციპები. |
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | კურსდამთავრებულს შეუძლია: ლოგიკური მსჯელობა, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება, სწორი დასკვნების და ფილოსოფიური ცნებებით ოპერირება; ჰუმანიტარულ სფეროში სხვადასხვა პრობლემატიკის ირგვლივ საკუთარი აზრის დამაჯერებლად ჩამოყალიბება/არგუმენტირება, მიზნის ადეკვატური ენობრივი ერთეულების შერჩევა და აკადემიურ გარემოში საჭირო სხვადასხვა დანიშნულების ტექსტების შექმნა ქართულ ენაზე; საშუალო ან საშუალოზე მაღალი სირთულის ტექსტის წაკითხვა და შექმნა ინგლისურ ენაზე. | ჰუმანიტარული სფეროსთვის დამახასიათებელი ძირითადი მეთოდების გამოყენებით წყაროების დამუშავება და კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; ძირითადი ენათმეცნიერული და ლიტერატურათმცოდნებითი მეთოდების გამოყენება ამა თუ იმ პრობლემის გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის (ნაშრომის) განსახორციელებლად; ენათმეცნიერული ტერმინოლოგიის გამოყენებით ლინგვისტური ფაქტების, მოვლენებისა და პროცესების აღწერა, გაანალიზება და შეფასება; სხვადასხვა პერიოდისა და ჟანრის ძველი ქართული ტექსტებისთვის ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი კომენტარების მომზადება; საშუალო სირთულის ძველი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლებისა და ხელნაწერების წაკითხვა; ძველი და ახალი ქართული ენის სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების გამოყენება; ლიტერატურულ ტექსტებზე დაკვირვება, მათი აღწერა და ინტერპრეტაცია; უცხო ენის ფლობის შემთხვევაში შეუძლია მარტივი ლიტერატურული ნაწარმოების თარგმნა ქართულ ენაზე ლიტერატურული სტილის ნორმებისა და თარგმანის სტილისტიკის წესების დაცვით; შეუძლია ქართული ლიტერატურისა და ზეპირსიტყვიერების ერთ მთლიან კულტურულ კონტექსტში გააზრება. |
| დასკვნის უნარი | განვითარებული აქვს ქართველური ენათმეცნიერების, ქართული ლიტერატურის, ლიტერატურათმცოდნეობის, თარგმანმცოდნეობის, ზეპირსიტყვიერებისათვის დამახასიათებელი მონაცემების მოპოვებისა და მათ საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი; გამომუშავებული აქვს დასკვნის გაკეთების უნარი ახალი მონაცემების ანალიზის ენათმეცნიერული და ლიტერატურათმცოდნეობის მეთოდების გამოყენებით (ანალიზი და სინთეზი). | განვითარებული აქვს პრობლემების ამოცნობისა და მათი გადაჭრის უნარი ქართული ლიტერატურათმცოდნეობისა და ლინგვისტური ცოდნის გამოყენებით; ქართული ფილოლოგიის სფეროში არსებული საშუალო სირთულის პრობლემების იდენტიფიკაციის და თანამედროვე მეთოდების გამოყენებით მათი გადაჭრის გზების მოძიების უნარი; ანალიზის შედეგად დასკვნის გაკეთების უნარი. |
| კომუნიკაციის უნარი | კურსდამთავრებულს შეუძლია: ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით და ქართული ლიტერატურული მასალის გამოყენებით; ქართული ენისა და ლიტერატურის არსებითი საკითხების შესახებ კომუნიკაცია როგორც სპეციალისტთა, ასევე არასპეციალისტთა წრეში. | ქართული ფილოლოგიის სფეროში დეტალური წერილობითი ანგარიშის, საჯარო გამოსვლის ტექსტის, საკვალიფიკაციო ნაშრომის მომზადება როგორც ქართულ, ისე უცხო ენაზე; სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ქართულ ფილოლოგიასთან დაკავშირებული ინფორმაციის ზეპირად გადაცემა როგორც ქართულ, ისე უცხო ენაზე; დისკუსიაში პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით მონაწილეობა და აუდიტორიის კითხვებზე არგუმენტირებული პასუხის გაცემა; სწავლებისა და კვლევის პროცესში საინფორმაციო ტექნოლოგიების, ქართულ ფილოლოგიასა და ზოგადად ფილოლოგიურ მეცნიერებებში არსებული უახლესი ელექტრონული რესურსების გამოყენება. |

| | | |
|---|---|---|
| *სწავლის უნარი* | *სასწავლო გეგმის თითოეული საგნის მომზადების სისტემატურ პროცესში სტუდენტი გამოიმუშავებს დროის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარს; ბაკალავრიატში სწავლისას გამოკვეთილი ინტერესების მიხედვით სტუდენტი ადგენს შემდგომ სწავლის მიმართულებას.* | *აქვს სწავლის უნარი დამოუკიდებლად ან მინიმალური დახმარებით, სპეციალური, ქართული და უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენებით ცოდნის მიღების; წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების/ინსტრუქციების მიხედვით, ხელმძღვანელის მეთვალყურეობით კვლევითი სამუშაოს შესრულების.* |
| *ღირებულებებ ი* | *კურსდამთავრებულს გაცნობიერებული აქვს: პროფესიული ეთიკის ნორმები; საქართველოში ქართული ენისა და ლიტერატურის მნიშვნელობა და ზრუნავს ენის სიწმინდის დაცვისა და ლიტერატურის შესწავლისათვის; ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ღირებულებებისადმი პატივისცემის გრძნობა.* | *გათავისებული აქვს ზოგადად ფილოლოგიურ, ჰუმანიტარულ მეცნიერებებში არსებული ეთიკური პრობლემები, აქვს მათი გააანალიზების, შესაბამისი გადაწყვეტილებების შერჩევისა და დაცვის უნარი; საკუთარი პროფესიისადმი და სამუშაო გარემოსადმი პატივისცემის გრძნობა; დაკისრებული მოვალეობებისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა; ტოლერანტობისა და ინტელექტუალური საკუთრების, პიროვნების თავისუფლებისა და საკუთარი ერის წინაშე მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა; კულტურული მრავალფეროვნების, პიროვნულ განსხვავებათა პატივისცემა და დაფასება.* |

## *სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები*:

### *სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ითვალისწინებს*

**1. დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიური სწავლების ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

**2. ჯგუფური (collaborative) მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

**3. ევრისტიკული მეთოდი** – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

**4. გონებრივი იერიში (Brain storming)** - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავდებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს

პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა.
- დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე).
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან.
- კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა.
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით.
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

**5. ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი.**

- სწავლების ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან კონკრეტულისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.
- სწავლების დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
- სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
- სინთეზის მეთოდი გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლების, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

**6. ახსნა–განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

**7. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

ამასთან, სწავლების პროცესში დასავლეთის წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილებისა და განათლების მეცნიერებების განვითარების უახლესი ვითარების გათვალისწინებით გამოყენებულია დემონსტრირების თანამედროვე ტექნოლოგიები.

სისტემატურად ეწყობა ექსკურსიები საქართველოს სხვადასხვა მუზეუმებში. პროგრამა ითვალისწინებს აგრეთვე საქართველოს ისტორიული ძეგლების მონახულებას. ეწყობა ექსპედიციები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ქართული ენის დიალექტების, ქართველური ენებისა და ფოლკლორული მასალების შესაკრებად. გარდა ამისა, სასწავლო პროცესის გაღრმავების მიზნით ყოველწლიურად ეწყობა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები და ლიტერატურული საღამოები.

## სწავლის შედეგების რუქა

| სასწავლო კურსები | კომპეტენციების ჩამონათვალი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ცოდნა და გაცნობიერება | ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | დასკვნის უნარი | კომუნიკაციის უნარი | სწავლის უნარი | ღირებულებები |
| ენათმეცნიერების შესავალი | X | | X | X | X | X |
| ქართული ენა 1 | X | X | X | X | X | X |
| ქართული ენა 2 | X | X | X | X | X | X |
| ქართული ენა 3 | X | X | X | X | X | X |
| ქართული ენა 4 | X | X | X | X | X | X |
| ქართული ენა 5 | X | X | X | X | X | X |
| ქართული სალიტერატურო ენის ისტორია | X | X | X | | X | X |
| ძველი ქართული ენა | X | X | X | | X | X |
| ქართული პალეოგრაფია | X | X | X | X | X | X |
| ა) სტილისტიკა;<br>ბ) პრაქტიკული სტილისტიკა და ენის ნორმალიზაცია. | X<br>X | X<br>X | X<br>X | <br>X | X<br>X | X |
| დიალექტოლოგია | X | X | X | X | X | X |
| ა) ლექსიკოლოგია;<br>ბ) სალიტერატურო ენის გამდიდრების წყაროები. | X<br>X | X<br>X | X<br>X | X<br>X | X<br>X | |
| ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია 1 | X | X | X | | X | X |
| ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია 2 | X | X | X | | X | X |
| ა) ძველი ქართული მწერლობის კერები;<br>ბ) რუსთველოლოგია. | X | X | X | X | X | X |
| XIX ს. ქართული ლიტერატურის ისტორია 1 | X | X | X | X | X | X |
| XIX ს. ქართული ლიტერატურის ისტორია 2 | X | X | X | X | X | X |
| XX ს. ქართული ლიტერატურის ისტორია 1 | X | X | X | X | X | X |
| XX ს. ქართული ლიტერატურის ისტორია 2 | X | X | X | X | X | X |
| ლიტერატურის თეორია | X | X | X | X | X | |
| ქართული ფოლკლორი | X | X | X | X | X | X |
| ქართული მწერლობის სახისმეტყველების საკითხები | X | X | X | | X | X |
| ქართული სალიტ. კრიტიკის ისტორია | X | X | X | | X | X |
| ტექსტოლოგია; | X | X | | X | X | X |

## დასაქმების სფეროები:

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი მრავალმხრივი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარების დახმარებით, კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს საქართველოს ყველა სახელმწიფო და
არასამთავრობო საზოგადოებრივი და ჰუმანიტარული სტრუქტურის დაწესებულებაში, სადაც საჭიროა ქართულ ენაზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ქართული ლიტერატურისა და ზოგადად კულტურის საფუძვლების ცოდნის გამოყენებით, კერძოდ:

- განათლების სფერო ( პედაგოგიკის დამატებითი პროგრამის არჩევის შემთხვევაში)
- კულტურის სფეროს დაწესებულებები;
- ბიბლიოთეკები და საისტორიო-ლიტერატურული არქივები;
- საგამომცემლო დაწესებულებები: რედაქციები, გამომცემლობრები;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებები (პრესა, ტელევიზია, რადიო, ინტერნეტ–გამოცემები და სხვ.);
- სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი პროფილის მქონე ორგანიზაციები (ასისტენტად, ლაბორანტად და სხვ.);
- საჯარო სექტორი
- კერძო სექტორი
- არასამთავრობო სექტორი.

## სწავლის გაგრძელების საშუალება:

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს საშუალება აქვს მოემზადოს ქართული ფილოლოგიის დარგში მეცნიერული და უმაღლეს სკოლაში პედაგოგიური მუშაობისათვის სამაგისტრო პროგრამების გავლის გზით. შესაბამისი სამაგისტრო პროგრამებია: ქართული ლიტერატურა და ფოლკლორი; ლიტერატურის თეორია; ქართველური ენათმეცნიერება; ზოგადი, შედარებითი და გამოყენებითი ენათმეცნიერება.

სწავლის გაგრძელების მსურველებს ასევე შეეძლებათ, ყველა იმ სამაგისტრო პროგრამის გავლა, რომლებიც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა პროფილს შეესაბამება. ასევე შეეძლებათ სხვა ნებისმიერი სამაგისტრო პროგრამის გავლა, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

**მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:**

ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის კათედრა, კათედრის პროფესორ-თანამშრომელთა სალექციო კურსები და რიდერები, უნივერსიტეტის კომპიუტერული ცენტრი, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ბიბლიოთეკა.

**სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები:**

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტის შეფასების სისტემა რეგულირდება საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესისა და სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემის შესახებ დებულებით.

სტუდენტთა ცოდნის შეფასება მოხდება შემდეგი აუცილებელი კომპონენტების გათვალისწინებით: შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა. ამ კომპონენტების ქულათა ჯამი შეადგენს მაქსიმუმ 100 ქულას. მათი თანაფარდობა განისაზღვრება შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

- შუალედური შეფასებები – მაქსიმუმ 60 ქულა;
- დასკვნითი გამოცდა – მაქსიმუმ 40 ქულა.

შუალედური შეფასებები განისაზღვრება შემდეგი სამი აუცილებელი კომპონენტის დაცვით:

1) მაქსიმუმ 20 ქულა (4 x 5 ქულა);

2) მაქსიმუმ 10 ქულა. პრეზენტაცია/რეფერატი;

3) ორ შუალედურ წერას ატარებს საგამოცდო ცენტრი (2 x15)

შუალედური შეფასებების პირველი კომპონენტი შეფასდება ოთხჯერადად, წერითი ფორმით და/ან ზეპირი გამოკითხვით. აღნიშნული კომპონენტი შეიძლება შეფასდეს აქტივობებით სასემინარო ან პრაქტიკულ მეცადინეობებზე, წერითი და/ან ზეპირი საშინაო დავალებებით და სხვა.

შუალედური შეფასებების მეორე კომპონენტი შეფასდება ერთჯერადად, წერითი ფორმით და/ან ზეპირი გამოკითხვით. აღნიშნული კომპონენტი შეფასდება პრეზენტაციაზე მოხსენებით, რეფერატის წარდგენით და სხვა.

პრეზენტაციით ან რეფერატით შეფასების შემთხვევაში, სემესტრის დასაწყისში შედგება სტუდენტთა პრეზენტაციების ან რეფერატების ცხრილი, რომელიც აუცილებლად წინასწარ შეთანხმდება სტუდენტებთან. შეთავაზებული თემატიკიდან სტუდენტი თავად ირჩევს პრეზენტაციის ან რეფერატის თემას. მათი შეფასება განისაზღვრება შემდეგი კომპონენტების დაცვით:

1) თემის გასაგებად წარმოდგენა – მაქსიმუმ 4 ქულით;

3) დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა – მაქსიმუმ 4 ქულით;

4) *ვიზუალური საშუალებების გამოყენება – მაქსიმუმ* 2 *ქულით.*

*შუალედურ შეფასებებში სტუდენტის მიერ მიღებული ქულები გამოცხადდება არა უგვიანეს მათი ჩატარებიდან* 3 *სამუშაო დღისა. ქულები გამოცხადების დღესვე გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.*

*სტუდენტს უფლება აქვს იმავე დღეს გააპროტესტოს შუალედურ შეფასებებში მიღებული ქულა ფაკულტეტის დეკანის სახელზე დაწერილი განცხადებით. ფაკულტეტზე შექმნილი კომისია, რომლის შემადგენლობაშიც აუცილებლად შედის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, არგუმენტირებულ პასუხს იძლევა არაუგვიანეს ერთი კვირისა.*

*დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება მიეცემა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებების მაქსიმალური* 60 *ქულიდან უგროვდება მინიმუმ* 11 *ქულა, ხოლო თუ სტუდენტს შუალედურ შეფასებებში უგროვდება მინიმუმ* 51 *ქულა, მაშინ ის თვითონ გადაწყვეტს დასკვნით გამოცდაზე გასვლის საკითხს, რის შესახებაც დროულად აცნობოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.*

*დასკვნითი გამოცდა ჩატარდება წერითი ფორმით საგამოცდო ცენტრის მიერ, ხოლო შედეგები გამოცხადდება არა უგვიანეს* 3 *სამუშაო დღისა. გამოცდის შედეგები გამოცხადებისთანავე დაფიქსირდება უწყისში და გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.*

*საკრედიტო შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას*:

. 91-100 *ქულა* : A (*ფრიადი*)

. 81-90 *ქულა*: B (*ძალიან კარგი*)

. 71-80 *ქულა*: C (*კარგი*)

. 61-70 *ქულა*: D (*დამაკმაყოფილებელი*)

. 51-60 *ქულა*: E (*საკმარისი*)

*არსებობს ორი ტიპის უარყოფითი შეფასება*:

. 41-50 *ქულა*: FX (*ვერ ჩააბარა*), *რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს კრედიტის მისაღებად მეტი მუშაობა სჭირდება და უფლება აქვს მაქსიმუმ ერთი თვის ვადში დამატებითი მუშაობის შედეგად გადააბაროს მხოლოდ დასკვნითი გამოცდა. ასეთ შემთხვევაში მის საბოლოო შეფასებაში გათვალისწინებული იქნება შეფასების სხვა კომპონენტებში მის მიერ სემესტრის განმავლობაში დაგროვილი ქულათა ჯამიც.*

. 40 *და ნაკლები ქულა* - F (*ჩაიჭრა*). *ამ შემთხვევაში სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. სტუდენტი რეგისტრირდება სგანზე, რაზეც დგება ინდივიდუალური ცხრილი საგნის ასათვისებლად.*

სტუდენტს უფლება აქვს ნიშნის გამოცხადების დღესვე გააპროტესტოს დასკვნით გამოცდაში მიღებული ქულა ფაკულტეტის დეკანის სახელზე დაწერილი განცხადებით. სკოლებთან შექმნილმა სააპელაციო კომისიამ, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ საგნის ლექტორი, ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და შესაბამისი სპეციალობის რამდენიმე წარმომადგენელი, განიხილავს სტუდენტის ნაწერს და გამოკითხავს სტუდენტს. კომისიას უფლება აქვს გააუქმოს ნიშანი და თავიდან შეაფასოს სტუდენტი ხმათა უმრავლესობით, რისთვისაც შედგება შესაბამისი ოქმი, რომელიც დაერთვება უწყისს.

შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის კრიტერიუმები, შეფასების ფორმები და ჩატარების სავარაუდო თარიღები დეტალურად გაიწერება სასწავლო კურსის სილაბუსში, იქნება გამჭვირვალე და სტუდენტებისათვის გასაგები. რომელიმე თარიღის ცვლილების შემთხვევაში სტუდენტებს წინასწარ მიეწოდებათ ინფორმაცია.

სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 დღისა.

**სპეციალობის არჩევანი**: ძირითადი სპეციალობა ფუნქციონირებას იწყებს II სემესტრიდან. სპეციალობის არჩევა კი ხდება I სემესტრის ბოლოს (დეკემბრის თვეში). ამისათვის სტუდენტებს ვთავაზობთ ძირითადი სპეციალობის არჩევის ფორმას, სადაც მოცემულია სპეციალობების ჩამონათვალი. ამ ფორმის მიხედვით სტუდენტი ახდენს სპეციალობის არჩევას.

**ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ**:

პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული ლექტორები და მასწავლებლები, რომელთაც აქვთ ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, პროგრამის პროფილის შესაბამისი აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში ჩართული პროფესორები სისტემატურად იღებენ მონაწილეობას მოხსენებებით საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ, მონაწილეობენ

*ლექტორთა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, რაც უზრუნველყოფს სამეცნიერო მუშაობის ინტერნაციონალიზაციას.*

*პროგრამის წამყვანი პროფესორ- მასწავლებლები არიან*:

1. *მაყვალა მიქელაძე-ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი ქართული ენის მიმართულებით. ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი*. (*იხილე* CV *უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე*)
2. *ნინო სოზაშვილი-ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი ქართული ლიტერატურის მიმართულებით. ფილოლოგიის დოქტორი*. (*იხილე* CV *უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე*)
3. *როინ ჭიკაძე-ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი ქართული ენის მიმათულებით. ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი*. (*იხილე* CV *უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე*)
4. *ნანა რჩეულიშვილი-ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი ქართული ლიტერატურის მიმართულებით. ფილოლოგიის დოქტორი*. (*იხილე* CV *უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე*)
5. *ნინო გიორგაძე-ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი ქართული ლიტერატურის მიმართულებით. ფილოლოგიის დოქტორი*. (*იხილე* CV *უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე*)
6. *ნინო კოჭლოშვილი-ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი ქართული ლიტერატურის მიმართულებით. ფილოლოგიის დოქტორი*. (*იხილე* CV *უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე*)
7. *ლიანა ტალახაძე-ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი ქართული ენის მიმათულებით. ფილოლოგიის დოქტორი*. (*იხილე* CV *უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე*)
8. *ქეთევან გიგაშვილი-ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი ქართული ენის მიმათულებით. ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი*. (*იხილე* CV *უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე*)
9. *ნუნუ გელდიაშვილი-ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი ქართული ენის მიმათულებით. ფილოლოგიის დოქტორი*. (*იხილე* CV *უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე*)

***სილაბუსები***: (*იხ. ცალკე*)

# ქრთული ენა და ლიტერატურა
# (Georgian Language and Literature)

| | საგანი | კოდი | სემესტრი | კრედიტი | სტატუსი | პრერეკვიზიტი | პედაგოგი | ძირითადი ლიტერატურა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| I | **I მოდული: ქართული ენა** | | | 60 | | | | |
| 1 | ენათმეცნიერების შესავალი | H.1.25 | II | 5 | სავალდებულო | არა აქვს | ასოც. პროფ. მ. მიქელაძე | ა. შანიძე, (1973). ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა(უნივ.ბიბლიოთეკა) |
| 2 | ქართული ენა 1 (ფონეტიკა) | H.1.E.01 | III | 5 | სავალდებულო | ენათმეცნიერების შესავალი | ასოც. პროფ. ლ.ტალახაძე | ლ. კვაჭაძე, (1981), ქართული ენა, ნაწ. I; გამომცემლობა ,,განათლება", თბილისი.(უნივ.ბიბლიოთეკა) |
| 3 | ქართული ენა 2 (სახელები) | H.1.E.02 | IV | 5 | სავალდებულო | ქართული ენა 1 | პროფ. ნ. გელდიაშვილი | შანიძე,ა. (1973)ქართული ენის გრამატიკი საფუძვლები.თბ.უნივ. გამომცემლობა(უნივ.ბიბლიოთეკა) |
| 4 | ქართული ენა 3 (ზმნა) | H.1.E.03 | V | 5 | სავალდებულო | ქართული ენა 2 | პროფ. ნ. გელდიაშვილი ასოც. პროფ. მ. მიქელაძე | დავითიანი, ა. (1973), ქართული ენის სინტაქსი, თბილისი (უნივ.ბიბლიოთეკა) |
| 5 | ქართული ენა 4 (სინტაქსი) | H.1.E.04 | VI | 5 | სავალდებულო | ქართული ენა 3 | ასოც. პროფ. რ.ჭიკაძე | კვაჭაძე, ლ.(1996), თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი: გამომცემლობა "რუბიკონი".(ქართ.ფილ.კათედრის ბიბლიოთეკა) |
| 6 | ქართული ენა 5 (სინტაქსი) | H.1.E.36 | V | 5 | სავალდებულო | ქართული ენა 4 | ასოც. პროფ. რ.ჭიკაძე | სარჯველაძე, ზ., დანელია, კ. (1997).ქართული პალეოგრაფია. გამომცემლობა. ,,ნეკერი", თბილისი (უნივ.ბიბლიოთეკა) |
| 7 | ქართული სალიტერატურო ენის ისტორია | H.1.E.06 | VIII | 5 | სავალდებულო | არა აქვს | პროფ. ქ.გიგაშვილი | სარჯველაძე, ზ.(1997).ძველი ქართული ენა, თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა. (უნივ.ბიბლიოთეკა) |
| 8 | ძველი ქართული ენა | H.1.E.13 | VI | 5 | სავალდებულო | არა აქვს | პროფ. ქ.გიგაშვილი | სარჯველაძე, ზ. (1984). ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, გამომცემლობა "განათლება", თბილისი(უნივ.ბიბლიოთეკა) |
| 9 | ქართული პალეოგრაფია | H.1.E.11 | VII | 5 | სავალდებულო-არჩევითი | ძველი ქართული ენია | პროფ. ნ. გელდიაშვილი | (1979),ქართული ოთხთავის გამოცემები: ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა (ქართ.ფილ.კათედრის ბიბლიოთეკა) |
| 10 | ა) პრაქტიკული სტილისტიკა<br>ბ) ენის ნორმალიზაციის საკითხები | H.1.E.12<br>H.1.E.26 | VI | 5 | სავალდებულო-არჩევითი | არა აქვს | ასისტენტ პროფ. მ. ცისკარიშვილი | კოშორიძე, ე. (2005). მწერლის ენისა და სტილის საკითხები, გამომცემლობა ,,მერიდიანი",თბილისი.(ქართ.ფილ.კათედრი ბიბლიოთეკა) |
| 11 | დიალექტოლოგია | H.1.E.10 | VII | 5 | სავალდებულო | არა აქვს | ასოც.პროფ. რ.ჭიკაძე | ღლონტი, ალ.(1988). ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, გამომცემლობა `განათლება~; თბილისი(უნივ.ბიბლიოთეკა) |
| 12 | ა) ლექსიკოლოგია;<br>ბ) სალიტერატურო ენის გამდიდრების წყაროები. | H.1.E.09<br>H.1.E.05 | II | 5 | სავალდებულო-არჩევითი | ქართული სალიტ. ენის ისტორია | ასოც.პროფ. რ.ჭიკაძე ასისტენტ პროფ. მ. ცისკარიშვილი | ჯორბენაძე, ბ. (1989), ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. (უნივ.ბიბლიოთეკა) |
| | **II მოდული ქართული ლიტერატურა** | | | 60 | | | | |
| 1 | ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია 1 | H.1.L.03 | II | 5 | სავალდებულო | შესავალი კურსი ქართულ ლიტერატურაში | ასოც. პროფ. ნ. გიორგაძე | კეკელიძე, კ., (1980). ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.I; თბილისი(უნივ.ბიბლიოთეკა) |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია 2 | | III | 5 | სავალდებულო | ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია 1 | ასოც. პროფ. ნ. გიორგაძე | კეკელიძე, კ., (1980). ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.II; თბილისი(უნივ.ბიბლიოთეკა) |
| 3 | ა) ძველი ქართული მწერლობის კერები; ბ)რუსთველოლოგია. | H.1.L.04 H.1.L.14 | IV | 5 | სავალდებულო | ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია | ასოც. პროფ. ნ. გიორგაძე | მენაბდე, ლ. (1962). ძველი ქართული მწერლობის კერები. ტ. I. თბილისი(უნივ.ბიბლიოთეკა) |
| 4 | XIX ს. ქართული ლიტერატურის ისტორია 1 | H.1.L.05 | IV | 5 | სავალდებულო | შესავალი კურსი ქართულ ლიტერატურაში | ასოც. პროფ. ნ.რჩეულიშვილი | ქართული ლიტერატურის ისტორია, (1969), ტ. III, საქ. მეცნ. აკადემიის შოთა რუსთაველი სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამოცემა, ,,საბჭოთა საქართველო" თბილისი(უნივ.ბიბლიოთეკა) |
| 5 | XIX ს. ქართული ლიტერატურის ისტორია 2 | | V | 5 | სავალდებულო | XIX ს. ქართული ლიტერატურის ისტორია 1 | ასოც. პროფ. ნ.რჩეულიშვილი | ქართული ლიტერატურის ისტორია, (1969), ტ. IV, საქ. მეცნ. აკადემიის შოთა რუსთაველი სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამოცემა, ,,საბჭოთა საქართველო" თბილისი(უნივ.ბიბლიოთეკა) |
| 6 | XX ს. ქართული ლიტერატურის ისტორია 1 | H.1.L.06 | VI | 5 | სავალდებულო | შესავალი კურსი ქართულ ლიტერატურაში | ასოც. პროფ. ნ.კოჭლოშვილი | ნიკოლეიშვილი, ა. (2002). XX საუკუნის ქართული მწერლობა. ქუთაისი: ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.(ქართ.ფილ.კათედრის ბიბლიოთეკა) |
| 7 | XX ს. ქართული ლიტერატურის ისტორია 2 | | VII | 5 | სავალდებულო | XX ს. ქართული ლიტერატურის ისტორია 1 | ასოც. პროფ. ნ.კოჭლოშვილი | |
| 8 | ლიტერატურის თეორია | H.1.L.08 | II | 5 | სავალდებულო | არა აქვს | ასოც. პროფ. ნ.რჩეულიშვილი | ციციშვილი, გ., გაწერელია, აკ., დუდუჩავა, მ.(1972), ლიტერატურის თეორიის საფუძვლები, თბილისი: გამომცემლობა ,,განათლება" (უნივ. ბიბლიოტეკა) |
| 9 | ქართული ფოლკლორი | H.1.L.01 | II | 5 | სავალდებულო | შესავალი კურსი ქართულ ლიტერატურაში | ასოც.პროფ. ნ.სოზაშვილი | თ. ჯაგოდნიშვილი (2004), ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია, I, თბილისი, თბილისის უნივერსტეტის გამომცემლობა. (ქართ.ფილ.კათედრის ბიბლიოთეკა) |
| 10 | ქართული მწერლობის სახისმეტყველება | H.1.L.17 | III | 5 | სავალდებულო | არა აქვს | ასოც. პროფ. ნ.რჩეულიშვილი | სირაძე რ. (1982). სახისმეტყველება, თბილისი, ,,ნაკადული".(ქართ.ფილ.კათედრის ბიბლიოთეკა) |
| 11 | ქართული სალიტ. კრიტიკის ისტორია | H.1.L.16 | VII | 5 | სავალდებულო | არა აქვს | ასოც. პროფ. ნ. გიორგაძე | ჭუმბურიძე ჯ, (2003). ქართული კრიტიკის ისტორია. (უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა) |
| 12 | ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა | H.1.L.20 | IV | | სავალდებულო | ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია | ასოც. პროფ. ნ.სოზაშვილი | ა. სპარსიაშვილი, ნ. სოზაშვილი (2007), ქართული მწერლობის ფოლკლორულ-რელიგიური საფუძვლები, თბილისი: გამომცემლობა ,,ცოდნა".(უნივ.ბიბლიოთეკ |
| | საბაკალავრო ნაშრომი | | | 10 | სავალდებულო | | | |